

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 6 “ 7 “ სექტემბერი 2017 წელი
ბრძ. № 01-01/59 “ 7“ სექტემბერი 2017 წელი

რექტორი

გიორგი მათიაშვილი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)

**თბილისი
2017**

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი, აწესრიგებს შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“, (შემდგომში - გთუნი) სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებს, ადგენს უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის მარეგულირებელ ზოგად წესებს.

2. გთუნი-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი შესასრულებლად სავალდებულოა სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისთვის, აგრეთვე სასწავლო პროცესის განხორციელების ხელშემწყობი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის.

თავი II. გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამები

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამები

გთუნი ახორციელებს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტში მოქმედი წესებით გათვალისწინებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს.

მუხლი 3. მოქმედი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები

1. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შემდეგი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები

- ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები);
- ტურიზმი;
- ჟურნალისტიკა;
- ფსიქოლოგია;
- სამართალი.

ბ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი;
- საბანკო საქმე;
- რეკრიაციული ტურიზმი;
- მასობრივი კომუნიკაცია;
- კერძო სამართალი;
- სისხლის სამართალი.

მუხლი 4. სწავლების ენა

1. გთუნი-ში საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შეფასება.

1. საგანმანათლებლო პროგრამები მუშავდება უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამულ

მიმართულებაზე/კათედრაზე.

2. პროგრამას შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

3. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას პროგრამის დამტკიცების შესახებ

4. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების საფუძველია რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია“ (რექტორის 2017 წლის “ 8“ სექტემბერის № 01-01/59 ბრძ).

5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის“ შესაბამისად.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები

1. გთუნი-ში სასწავლო საქმიანობის განხორციელებას უზრუნველყოფენ შესაბამისი ფაკულტეტები. ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში.

2. გთუნი-ს ფაკულტეტი:

ა) შეიმუშავებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბ) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას;

გ) სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს სტუდენტთა კონტიგენტს, კოეფიციენტებს და მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ეროვნული გამოცდისათვის;

დ) ახორციელებს უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. გთუნი-ს ფაკულტეტებია:

ა) სამართლის ფაკულტეტი;

ბ) ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი;

თავი III. სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა.

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე - ბაკალავრიატში სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელს, რომელმაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაიარა რეგისტრაცია.

2. აბიტურიენტი, რომელმაც წარმატებით გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთა რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი);
- ფერადი ფოტოსურათი 2 ცალი, ზომით 3 X 4 ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია

- დისკზე;
- სამხედრო-სავალდებულო აღრიცხვის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის);

3. აბიტურიენტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს უნივერსიტეტში სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ.

4. გთუნი-ს რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი უნივერსიტეტში სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ, გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში.

5. ის პირი, რომელიც შესულია რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ დადგენილ ვადაში ვერ მოხვდა რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტში უნივერსიტეტისათვის არმიმართვის გამო, უფლებამოსილია, მიმართოს გთუნი-ს ჩარიცხვის მოთხოვნით აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. რექტორი ვალდებულია, გამოსცეს ბრძანება ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში.

6. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდები, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, და წარმატებით გადალახა გთუნი-ს მიერ განსაზღვრული მისაღები პროცედურა.

7. მაგისტრატურაში მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა ხორციელდება სამაგისტრო გამოცდის შედეგების საფუძველზე. სამაგისტრო გამოცდა შედგება ორი ნაწილისგან:

- ა. საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- ბ. გთუნი-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები.

8. გთუნი-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები ტარდება მაგისტრატურის დებულების შესაბამისად.

9. საგამოცდო და სააპელაციო პროცედურების დასრულების შემდეგ, საგნობრივი საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე უნივერსიტეტის მიმღები კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს მაგისტრატურაში ჩასარიცხ კანდიდატთა სიას.

10. მიმღები კომისია განიხილავს და ამტკიცებს საგნობრივი საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებას მაგისტრატურაში მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვის თაობაზე.

11. გთუნი-ში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, დგება რექტორის ერთიანი აქტი. რექტორის ერთიანი აქტში მითითებულია მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. გთუნი სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ

პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ სპეციალური ელექტრონული პროგრამის წარმოების წესის შესაბამისად.

12. ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების მსურველ პირებს რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ წესს, შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე რექტორი აძლევს წერილობით თანხმობას სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით).

14. გამოცდების გარეშე სწავლის გაგრძელების მსურველი პირის მიმართ განთლების და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე რექტორი ვალდებულია მოახდინოს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვა ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტი აისახება ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
- აკადემიური შვებულება;
- ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის არ გავლა;
- მობილობის საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტის მიერ პირად საქმეში არსებული

დოკუმენტაციის დედნების წარმოუდგენლობა.

3. სტუდენტს აკადემიური შვებულება ეძლევა:

- ა) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დროს;
- ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო;
- გ) ორსულობისა და ახალშობილთა მოვლის გამო (არაუმეტეს 4 სემესტრისა);
- დ) სხვა საპატიო მიზეზით, ფაკულტეტის საბჭოს მიერ კონკრეტული განცხადების განხილვის საფუძველზე მიღებული დადგენილების შესაბამისად.

4. აკადემიური შვებულების აღების დროს სტუდენტს უნარჩუნდება მის მიერ გადახდილი სწავლის საფასურის ნაწილი.

5. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

6. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს

აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

7. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები რეგულირდება კანონმდებლობითა და გთუნი-ში დადგენილი შესაბამისი წესებით.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტის დაგროვება;

გ) ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამი მცდელობით

დადებითი შეფასების მიუღებლობა;

დ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში;

ე) ფაკულტეტის საბჭოს მიერ სტუდენტის მიმართ გთუნი-ში მოქმედი წესების შესაბამისად განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები რეგულირდება კანონმდებლობითა და გთუნი-ში დადგენილი შესაბამისი წესებით.

3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. პირს, რომელსაც შეუწყდა, სტუდენტის სტატუსი, შეუძლია მისი ხელახალი მოპოვება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. 2010 წლის 5 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია, მიმართოს გთუნი-ს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე.

6. სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ უნივერსიტეტში, სადაც პირს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

მუხლი 10. სტუდენტის აკადემიური დატვირთვა

1. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია ეფუძნება "კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემას" (ECTS) და მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამებით, რომლებიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი სასწავლო წლის (42 კვირის განმავლობაში) მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს (დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს), რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500-1800 საათს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25-30 ასტრონომიული საათის განმავლობაში. საგანმანათლებლო პროგრამები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის დაუფლებაზე, არამედ მის პრაქტიკულ გამოყენებაზე, სწავლების შედეგებზე - კომპეტენციებზე.

2. სტუდენტის დატვირთვა ერთი სემესტრის განმავლობაში მოიცავს 30 კრედიტს.

თავი IV. სასწავლო პროცესის ორგანიზაცია

მუხლი 11. სწავლის ხანგრძლივობა

1. გთუნ-ში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია ეფუძნება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემას (ECTS) და მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამით, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. განათლების აქცენტი გადატანილია არა მხოლოდ ცოდნის დაუფლებაზე, არამედ მის გამოყენებაზე, სწავლების შედეგებზე - კომპეტენციებზე.

2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვებას.

3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვებას.

4. სასწავლო წელი იყოფა ორ - შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებად. სემესტრის ხანგრძლივობას განსაზღვრავს:

- სააუდიტორიო მეცადინეობების პერიოდი - 15 კვირა;
- შუალედური შემოწმების პერიოდი - 1 კვირა; სესიები:
 - ა) დასკვნითი გამოცდების პერიოდი - 3 კვირა;
 - ბ) დამატებითი გამოცდები - 2 კვირა.

5. დამატებითი გამოცდები ტარდება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე, დასკვნითი გამოცდების შედეგის გამოცხადებიდან 5 დღის შემდეგ. სტუდენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ დააგროვებს კრედიტების სავალდებულო რაოდენობას და შესაბამისად ვერ მოიპოვებს აკადემიურ ხარისხს, უფლება აქვს დამატებითი სემესტრის დაფინანსების გზით დაასრულოს პროგრამა.

6. სტუდენტებისთვის დადგენილია არდადეგები წელიწადში 2-ჯერ, რომელთა ხანგრძლივობა განისაზღვრება რექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო წლის გრაფიკით.

7. სალექციო, სასემინარო და პრაქტიკული მეცადინეობების საათების ხანგრძლივობა არის 45 წუთი. ლექციებს შორის შესვენა არის 15 წუთი.

8. საგანმანათლებლო კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ECTS ევროპულ სისტემას გამჭვირვალეს და გასაგებს ხდის კრედიტების განაწილებაში სასწავლო კურსების ჯგუფების და დონეების გათვალისწინება. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა შეიცავს სხვადასხვა მოდულებში განაწილებულ სასწავლო კურსების ორ ჯგუფს:

- ა) **Compulsory** - სავალდებულო სასწავლო კურსების ჯგუფი;
- ბ) **Electives** სასწავლო კურსები, რომელთაც სტუდენტი შეისწავლის საკუთარი სურვილის მიხედვით.

სასწავლო კურსების დაყოფას დონეების მიხედვით შეიძლება შემდეგი სახე ჰქონდეს:

- ა) **Basic** – საბაზისო დონის კურსი, ითვალისწინებს სასწავლო კურსის შესწავლას ზოგად დონეზე;
- ბ) **Intermediate** – საშუალო დონის კურსი (განკუთვნილია საბაზისო დონის გასაღრმავებლად);
- გ) **Specialized** სპეციალური დონის კურსი (განკუთვნილია კონკრეტულ სფეროში ან კონკრეტულ დისციპლინაში ცოდნისა და გამოცდილების ფორმირებისათვის).
- დ) **Advanced** - მაღალი დონის კურსი (განკუთვნილია პროფესიონალური ცოდნის შემდგომ გასაღრმავებლად);

სასწავლო კურსების კოდში სიმბოლოებად გამოყენებულია დისციპლინის თვისებების ინგლისური დასახელების პირველი სიმბოლოები, ხოლო თანმიმდევრობის სქემა მოცემულია ცხრილში.

სასწავლო კურსების ჯგუფი	სასწავლო კურსების დონე	კრედიტების
C	I	5

მაგალითად, დისციპლინის ცხრილში მოცემული კოდი **CI 5** ითვალისწინებს სტუდენტის მიერ არჩეულ სავალდებულო (**Compulsory**), საშუალო დონის (**Intermediate**) 5 კრედიტის მქონე სასწავლო კურსს.

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების (სასწავლო კურსი/მოდული) არჩევის გამჭვირვალობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს

განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირება სპეციალობის შესაბამისი სასწავლო კურსების კონცენტრაციით.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა ხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

- სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი სასწავლო კურსებიდან არჩევის თავისუფლება;
- სტუდენტის პირადი მონაწილეობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში ტუტორების (აკადემიური კონსულტანტების) ჩართვა.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებისას სტუდენტი სრულად ითვალისწინებს სასწავლო კურსებს, რომლებიც ჩამოთვლილია არჩეული სასწავლო კურსის სილაბუსების შესწავლის წინაპირობაში. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში კრედიტების რაოდენობა წელწადში სასურველია არ აღემატებოდეს 60-ს (სემესტრში - 30-ს). გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია ერთ სასწავლო წელში დამატებითი 15 კრედიტის დაგროვება.

3. სასწავლო გეგმის ფორმირებისათვის სტუდენტი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებამდე დადგენილი წესით, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პორტალზე, გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია. სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგი სახით:

- ა) სტუდენტი სემესტრების სასწავლო გეგმის ფორმირებას ახორციელებს სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 კვირისა;
- ბ) სასწავლო კურსების (მოდულების) და პროფესორ/მასწავლებლის არჩევის პროცესში ფაკულტეტი განსაზღვრას:
 - სტუდენტთა რაოდენობას, რომელთა აკადემიური რეგისტრაციის შემდეგ ხდება ჯგუფების ფორმირება;

4. ფაკულტეტის დეკანატი უზრუნველყოფს საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებას სტუდენტების აკადემიური რეგისტრაციის შესახებ.

5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობა:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტს შეუძლია და აქვს საშუალება გაეცნოს საგანმანათლებლო (კურიკულუმი) და სასწავლო კურსის პროგრამებს (სილაბუსი);
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების წინასწარ გაცნობა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (საგანმანათლებლო პროგრამები და კატალოგი).

მუხლი 13. სტუდენტის ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სწავლის საფასურის გადახდას უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. აკადემიური რეგისტრაცია არის სასწავლო (ინდივიდუალური) გეგმის შედგენის პროცესი სასწავლო კურსების, ლექტორების, სასურველი სასწავლო დროის

(სემესტრის), ასევე პროგრამის არჩევითი კომპონენტებიდან (სპეციალობის კონცენტრაცია, თავისუფალი კომპონენტები და ა.შ.) სასურველი მოდულის არჩევით.

2. აკადემიური რეგისტრაციის დროს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების შემთხვევაში, სტუდენტი ირჩევს მიმდინარე სემესტრში გასავლელ სასწავლო კურსებს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შემავალ ყველა მოდულიდან. კერძოდ:

- საბაზისო სასწავლო კურსების მოდულიდან (სავალდებულო/არჩევითი);
- უცხო ენის მოდულიდან (სავალდებულო);
- სპეციალობის სასწავლო კურსის მოდულიდან (სავალდებულო/არჩევითი);
- სპეციალობის კონცენტრაციის მოდულიდან (სავალდებულო/არჩევითი) არსებობის შემთხვევაში;
- თავისუფალი კონცენტრაციის მოდულიდან (არჩევითი);
- პროფესიული პრაქტიკა (სავალდებულო);
- საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი (სავალდებულო).

3. სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი ნებისმიერი მოდულიდან (მოდულით განსაზღვრულ კრედიტების დიაპაზონში), გარდა იმ სასწავლო კურსებისა, რომელთა შესწავლის წინაპირობა მას არ აქვს დაძლეული მიმდინარე სემესტრის დაწყებამდე.

4. საგანმანათლებლო პროგრამის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში დაძლევის გარანტიისთვის სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს ე.წ. ტიპური სასწავლო გეგმით, რომელიც შედგენილია პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების შემთხვევაში რეკომენდირებულია პირველ რიგში სტუდენტმა აირჩიოს მიმდინარე სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსები, უცხო ენის მომდევნო დონის კურსი, ჩარჩენილი სავალდებულო კურსები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მხოლოდ შემდეგ არჩევითი კურსები.

5. რეკომენდირებულია არჩევნის გაკეთებამდე სტუდენტი გაეცნოს:

- აკადემიური რეგისტრაციისთვის წარმოდგენილ სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობებს;
- პროგრამის არჩევით კომპონენტებს (სასწავლო კურსი/მოდული);
- სასწავლო ჯგუფების სალექციო დროს;
- რეგისტრაციის გავლის პროცედურას.

6. სპეციალობის კონცენტრაციის არჩევაზე სტუდენტი დაიშვება მეხუთე სასწავლო სემესტრიდან. წინა სემესტრის სასწავლო კურსებზე რეგისტრირებულ სტუდენტებს კონცენტრაციის არჩევის ველი არ გამოუჩნდებათ.

7. აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტი განსაზღვრულ ვადაში ვერ ირჩევს პრაქტიკასა და საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომს. ეს კომპონენტები მას ავტომატურად გენერირდება.

8. კონკრეტული კონცენტრაციის არჩევის შემდეგ კონცენტრაციის კურსების არჩევა ხდება ძირითადი კურსების არჩევის წესის იდენტურად. კონცენტრაციის სავალდებულო და არჩევითი კურსების არჩევა ხდება იმ ოდენობით, როგორც ეს გათვალისწინებულია პროგრამის სასწავლო გეგმით.

9. სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს სასწავლო კურსები თავისუფალი კრედიტების ხარჯზე - ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელ სასწავლო სემესტრზეა რეგისტრირებული სტუდენტი.

10. სტუდენტს უფლება აქვს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში აირჩიოს უნივერსიტეტში მოქმედი სხვა ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსი/კურსები.

11. თავისუფალი კრედიტების რაოდენობა შესაძლებელია შემცირდეს თუ:

- მობილობით/შიდა მობილობით გადმოსულ სტუდენტს განსხვავებული კრედიტები უღიარდა თავისუფალ კრედიტებში;

- სტუდენტს უცხო ენის ასათვისებლად დაჭირდა სემესტრების ნაკლები რაოდენობა.

12. სტუდენტს, ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან შეუძლია შევიდეს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ვებ-გვერდზე საკუთარი სახელის, გვარისა და საიდენტიფიკაციო პაროლის მითითებით.

13. სტუდენტი საიდენტიფიკაციო პაროლს იღებს აკადემიურ რეგისტრაციამდე.

14. პაროლის აღსადგენად სტუდენტს შეუძლია მიმართოს ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს.

მუხლი 14. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა/გაუქმება

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების მიხედვით სწავლის ხარისხის გაუმჯობესების, საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების, მიზნით უნივერსიტეტმა შეიძლება მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების გადაწყვეტილება.

2. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით.

3. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია, სწავლა გააგრძელოს სრულყოფილ, შეცვლილ საგანმანათლებლო პროგრამაზე. უნივერსიტეტი თითოეული სტუდენტისათვის განსაზღვრას შესაბამისობებს არსებულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილ და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შორის და საჭიროების შემთხვევაში, მისცემს სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის შესაძლებლობას.

4. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლით დამატებითი სემესტრის განპირობების შემთხვევაში სტუდენტი თავისუფლდება სწავლის გადასახადისგან (ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას).

5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია სწავლა

გააგრძელოს:

ა) გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად პროგრამაზე (არსებობის შემთხვევაში);

ბ) იმ უნივერსიტეტების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლებთანაც გთუნი-ს გაფორმებული აქვს შეთანხმება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების აღიარების თაობაზე და რომლის შესაბამისადაც განხორციელდება შესაბამის უნივერსიტეტში სტუდენტთა გადაყვანა;

გ) პუნქტების ა) და ბ)-ს განუხორციელებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიღებად რეჟიმში სწავლებას, ყველა გაუქმებული პროგრამის ყველა სტუდენტის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე.

6. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი პროგრამის გაუქმებამდე ახდენს სტუდენტების ინფორმირებას და დეტალურად აცნობს მათ ინფორმაციას მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მობილობის პროცედურის ყველა აუცილებელი ასპექტის შესახებ.

თავი V. სასწავლო პროცესის ორგანიზაცია

მუხლი 15. სტუდენტთა მობილობა

1. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

2. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.

3. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

4. სტუდენტთა მობილობა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა გასაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის #10/5

ბრძანებისა და მობილობისა და კრედიტების აღიარების შესახებ გთუნი-ს რექტორის 2017 წლის 7 სექტემბრის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 16. შიდა მობილობა

1. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს გთუნი.
2. შიდა მობილობით სარგებლობის უფლება სტუდენტს ენიჭება სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
3. შიდა მობილობით სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს წელიწადში 2-ჯერ როგორც წესი სასწავლო სემესტრების დაწყებამდე; შიდა მობილობის წინა პირობას წარმოადგენს სტუდენტის მიერ განვლილი პროგრამის თავსებადობის დადგენა ახალ საგანმანათლებლო პროგრამასთან.
4. შიდა მობილობის განხორციელებისათვის სტუდენტი გთუნი-ს რექტორს მიმართავს შესაბამისი განცხადებით. შესაბამისი ფაკულტეტი სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით განსაზღვრავს სტუდენტის ძველი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და სასწავლო განყოფილებათა შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
5. განცხადებას უნდა დაერთოს სასწავლო ბარათი და პირადობის მოწმობის ასლი.
6. შიდა მობილობით გადასულ სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება შესაბამისი (მიმღები) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასურის მიხედვით. პროგრამული თავსებადობისთვის აუცილებელი დამატებითი კრედიტების ასათვისებლად მას დაეკისრება დამატებითი კრედიტების/დამატებითი სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა.
7. შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა ფორმდება გთუნი-ს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 17. მობილობის უფლების შეზღუდვა

1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის სამედიცინო განათლებისა და ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. დაუშვებელია მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის მობილობა გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში.
3. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე,

დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

4. მაგისტრანტს მობილობისა და შიდა მობილობის უფლება წარმოეშობა მხოლოდ იმ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა

1. გთუნი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

2. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვაც განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომლის საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებული იქნას სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა.

4. უცხოეთში მიღებული განათლების, ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების, ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების, ასევე, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობას შეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი კვალიფიკაციის დადასტურებას, განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 98/ნ ბრძანების შესაბამისად.

5. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.

6. მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური და კურსის/კომპონენტის მოცულობისა და შეფასების შესაბამისობა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS).

7. გთუნი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ECTS სისტემის შესაბამისად.

8. აღიარებას ექვემდებარება ასევე სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო

პროგრამის ფარგლებში გავლილი ისეთი სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტები, რომლის ეკვივალენტი არ არის შემოთავაზებული გთუნი-ს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მაგრამ სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები და სწავლის შედეგები თავსებადია აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან.

9. სასწავლო კურსის აღიარება ხდება მისი სილაბუსის ანალიზის საფუძველზე. მისი არარსებობის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება კურსის/კომპონენტის სახელწოდება, მოცულობა, თემატიკა და სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს კურსის/კომპონენტის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებზე. ანალიზისთვის არასაკმარისი ინფორმაციის არსებობისას, ფაკულტეტი უფლებამოსილია, სტუდენტს ჩაუტაროს გამოცდა/გასაუბრება და ამ გზით დაადგინოს კურსით/კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თავსებადობა გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან.

10. თუ კურსი/კომპონენტი არ არის ECTS-ით გაანგარიშებული, მისი მოცულობის გამოთვლა ხდება შესაბამისი სილაბუსის ანალიზის საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. სილაბუსის არარსებობის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება კურსის/კომპონენტის მოცულობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, სასწავლო მასალის მოცულობა, კურსის ტიპი და ა. შ.).

11. თავისუფალი კრედიტების ფარგლებში დასაშვებია იმ სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამით.

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის პროცედურა

12. კრედიტების აღიარებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით.

13. კრედიტების აღიარება ხორციელდება სტუდენტის მიერ წარმოდგენილი სათანადოდ დამოწმებული სასწავლო ბარათით. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილ სასწავლო ბარათში ასახული ინფორმაცია იწვევს ეჭვს, სტუდენტს შეიძლება მოეთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტი/კრედიტები არ უღიარდება.

14. თუ სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობა ნაკლებია გთუნი-ს შესაბამისი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობაზე, მაგრამ კურსის/კომპონენტის მიზნები და სწავლის შედეგები თავსებადია გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან, ხდება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობის აღიარება.

15. თუ სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობა აღემატება გთუნი-ს შესაბამისი

კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობას, ხდება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობის აღიარება.

16. არ აღიარებული კრედიტების აღდგენამ სტუდენტს შეიძლება დააკისროს დამატებით ფინანსური ვალდებულება.

17. მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს უფლება აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ყოველწლიურად დამატებით აითვისოს არ აღიარებული 15 კრედიტი.

თავი VI. სტუდენტის მიღწევის შეფასების სისტემა

მუხლი 20. სტუდენტის შეფასების სისტემა

1. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02); „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ქულა	შეფასება
შეფასების 91-100 ქულა	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა	B - „ძალიან კარგი“
მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა	E - „საკმარისი“

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

2. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შემადგენელი ნაწილით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღებით.

3. პროგრამის თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო (სემესტრულ) შეფასებას.

4. შეფასების თითოეული ფორმა შეიძლება დაიყოს კომპონენტებად (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა),

რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს; ეს უკანასკნელი შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებული იქნას შეფასების შემდეგი მეთოდები - ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრეზენტაციის წარმოდგენა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის, სიტუაციური ამოცანის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვა.

6. შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს წარმოადგენს შეფასების კრიტერიუმი, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების კრიტერიუმი შეფასების ცალკეული მეთოდისთვის მინიჭებული მაქსიმალური და მინიმალური, დადებითი და უარყოფითი შეფასების ქულობრივ მაჩვენებლებს წარმოადგენს.

7. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

8. შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში განისაზღვროს 40 ქულით, შესაბამისად შუალედური შეფასების ხვედრითი წილი 60 ქულა იქნება.

9. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.

10. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, კერძოდ:

ა) დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს დასკვნითი შეფასების 50%-ით ანუ 20 ქულით.;

ბ) შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს 31 ქულით.

11. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

12. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

მუხლი 21. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება

1. **სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებას** განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი. ამასთან, დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით, ხოლო შუალედური შეფასებები - 60 ქულით.

2. **შუალედური შეფასებების ქულათა ჯამს** სემესტრის განმავლობაში სტუდენტი დააგროვებს შემდეგ კომპონენტებში:

- ა) ზეპირი/წერილითი გამოკითხვა;
- ბ) პრაქტიკული/თეორიული სამუშაო;
- გ) შუალედური შემოწმება.

3. **შუალედური შეფასებების კომპონენტები:**

3.1.1. **ზეპირი/წერილითი გამოკითხვა** - ფასდება 20 ქულით და გულისხმობს ლექციებზე, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე ლექტორის მიერ დაგეგმილ სამუშაოებში (სემინარი, კოლოკვიუმი, პრეზენტაცია, ქეისი, საკონტროლო წერა, ტესტური შემოწმება და სხვ.) სტუდენტის მონაწილეობა/ჩართულობასა და ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენას. სამუშაოთა ტიპი, რაოდენობა (არანაკლებ ხუთისა), ჩატარებისა და შეფასების მეთოდები (დისკუსია, დებატი, ტესტი, ღია წიგნი და სხვ.) და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში. კომპონენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს 50%-ით ანუ 10 ქულით.

3.1.2. **პრაქტიკული/თეორიული სამუშაო** - (რეფერატი, ნარკვევი, ესე, პროექტი, პრეზენტაცია კაზუსი და ა.შ.) ფასდება 10 ქულით. მოწმდება სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების შედეგად სტუდენტის მიერ გამოვლენილი ცოდნა, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევა. სამუშაოთა ტიპი, რაოდენობა, ჩატარებისა და შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში; კომპონენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს 50% პლუს 1 ქულით ანუ 6 ქულით.

3.1.3. **შუალედური შემოწმება** - სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საშუალოდ შეფასებაა, რომელიც სემესტრის მე-8 კვირაში ტარდება წერილით და/ან ზეპირი გამოცდის ფორმით და ფასდება 30 ქულით. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში. კომპონენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს 50%-ით ანუ 15 ქულით.

მუხლი 22. დასკვნითი გამოცდა

1. დასკვნითი გამოცდა (წერილით და/ან ზეპირი ფორმით) ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში.

2. სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სემესტრის განმავლობაში, შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტში დააგროვებს მინიმალური კომპეტენციის ზღვრით განსაზღვრულ (ან მეტ) ქულას, კერძოდ:

- ა) ზეპირი/წერილითი გამოკითხვის კომპონენტში დაგროვილი ქულა უნდა იყოს 10 ან მეტი.
- ბ) პრაქტიკული/თეორიული სამუშაოს კომპონენტში დაგროვილი ქულა უნდა იყოს 6 ან მეტი.
- გ) შუალედური შემოწმების კომპონენტში დაგროვილი ქულა უნდა იყოს 15 ან მეტი.

3. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 40.

4. დასკვნითი გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა და მეტი.

5. თუ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტმა ვერ დაიმსახურა დადებითი შეფასება, მაგრამ მისი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი ტოლია ან აღემატება 41-ს (“Fx”), სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. აღნიშნული უფლება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, მიმართ.

6. თუ დასკვნითი გამოცდის და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს 40 და ნაკლებს (F) სტუდენტი დამატებით გამოცდაზე არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება “F” (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით.

7. დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

8. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შემადგენელ ნაწილში უარყოფითი შეფასება (კრედიტის ვერ-მოპოვება) სტუდენტს „საკრედიტო დავალიანებად“ რჩება და აკისრებს გარკვეულ ფინანსურ ვალდებულებას, რომელიც რეგულირდება შესაბამისი დებულებით.

მუხლი 23. დამატებითი გამოცდა

1. სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

2. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

3. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება „F” (ჩაიჭრა) - 0 ქულა.

4. დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტი შეფასდება 0 ქულით და მისი სემესტრული შეფასება იქნება „F” (ჩაიჭრა).

მუხლი 24. სემესტრული შეფასება

1. დადებითი სემესტრული შეფასების მისაღებად სტუდენტი ვალდებულია, დასკვნითი ან დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასების შედეგებით დააგროვოს **51 ქულა ან მეტი**.

2. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტი ხელმეორედ გაივლის სასწავლო კურსს, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ვალდებულებასთან.

3. სამაგისტრო ნაშრომის ან მის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების, პრაქტიკის ანგარიშის, საპროექტო სამუშაოს შეფასება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) 2.1. პუნქტში გათვალისწინებული სქემის მიხედვით.

4. სამაგისტრო ნაშრომში ("Fx"), შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ("F"), შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

5. დამატებით გამოცდის გრაფიკს, დეკანის წარდგინების საფუძველზე, ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 25. განსაკუთრებული შემთხვევები

1. სასწავლო პროცესის მეორე-მეთხუთმეტე კვირის განმავლობაში სტუდენტს შეუძლია შუალედური შეფასების კომპონენტებში (ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო) ლექტორის მიერ დაგეგმილ სამუშაოთა რაოდენობის 50 %-ის აღდგენა.

2. სასწავლო პროცესის მე-10 კვირის განმავლობაში სტუდენტს შეუძლია სილაბუსით დაგეგმილი შუალედური შემოწმების კომპონენტში/კომპონენტებში მიღებული 50%-ზე ნაკლები შეფასების ამაღლება.

3. შუალედური შემოწმებაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს ნება ეძლევა დეკანატის მიერ დადგენილ ვადებში (დაგეგმილი თარიღიდან არა უმეტეს ერთი თვისა) დაფაროს აკადემიური დავალიანება.

4. საპატიო მიზეზით დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობა, დეკანატის გადაწყვეტილებით, სტუდენტს ეთვლება საპატიოდ და მას ნება ეძლევა დეკანატის მიერ დადგენილ ვადებში (მომდევნო სემესტრის დაწყებამდე) დაფაროს აკადემიური დავალიანება.

მუხლი 26. სტუდენტის საშუალო აკადემიური შეფასების (GPA) წესი

1. უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე სასწავლო კურსებში მიღებულ ქულებთან ერთად შეიძლება განისაზღვროს ასევე აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).

2. სასწავლო პროცესის ნებისმიერ ინტერვალში სტუდენტის საშუალო აკადემიური შეფასება გამოითვლება ფორმულით:

$$\text{GPA} = (\sum \text{თითოეული სასწავლო კურსის GPA} \times \text{შესაბამის კრედიტზე}) / \text{ყველა სასწავლო კურსის კრედიტების ჯამზე}$$

სადაც, ნებისმიერი სასწავლო კურსის GPA გამოითვლება ფორმულით:

$$\text{GPA} = \text{სასწავლო კურსში მიღებული შეფასების ქულა} \times 0,04$$

1. GPA – გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A,B,C,D,E). Fx და F შეფასება GPA – გამოთვლაში განიხილება 0-ის ტოლად. საშუალო აკადემიური შეფასების GPA) 4 ბალიან და შეფასების

100 ქულიანი სისტემას შორის შესაბამისობის დასადგენად შეიძლება ვისარგებლოთ შემდეგი ცხრილით:

GPA-ის ქულა	შეფასება
GPA-ის ქულის 91% და მეტი	„ფრიადი“
GPA-ის ქულის 81% - 90%	„ძალიან კარგი“
GPA-ის ქულის 71% - 80%	„კარგი“
GPA-ის ქულის 61% - 70%	„დამაკმაყოფილებელი“
GPA-ის ქულის 51% - 60%	„საკმარისი“

მუხლი 27. აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

1. სრული საგანმანათლებლო პროგრამის GPA განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს, კერძოდ თუ GPA ტოლია ან მეტი 3.55 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.

2. GPA –ს საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს სტუდენტის რეიტინგი და მას მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ადმინისტრაციის მიერ რაიმე სახის შეღავათების ან წახალისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.

თავი VII. გამოცდების ჩატარების წესი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი

მუხლი 28. გამოცდების ჩატარების წესი

გთუნი-ში გამოცდების მიზანი, ჩატარების წესი, საგამოცდო პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პირობები განსაზღვრულია რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „გამოცდების ჩატარების წესი“-ში ((2017 წლის 8 სექტემბრის ბრძანება № 01-01/59).

მუხლი 29. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილი კომპეტენციების მიღწევამდე სასწავლო პროცესის, მისი ცალკეული ელემენტების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (სწავლის შედეგების) უწყვეტი დიაგნოსტიკა, სასწავლო პროცესში კორექტივების შეტანა, სწავლის შედეგების გაუმჯობესება და საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა ხორციელდება „სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი“-ს შესახებ წესის შესაბამისად.

თავი VIII. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 30. სტუდენტის უფლებები

1. სტუდენტს უფლება აქვს:
 - ა) მიიღოს ხარისხიანი უმაღლესი განათლება;
 - ბ) მონაწილეობა მიიღოს ფაკულტეტის მართვაში;

- გ) თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- დ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ე) ისარგებლოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითობის პრინციპით და მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში;
- ვ) მოითხოვოს საკუთარი მიღწევების სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი;
- ზ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;
- თ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტსა და ფაკულტეტის შესახებ;
- ი) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;
- კ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ღიად ან ფარულად აირჩიოს და იყოს არჩეული უნივერსიტეტის, ფაკულტეტის წარმომადგენლობით ორგანოებში ან სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებში;
- ლ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი;
- მ) ისარგებლოს სტუდენტის აკადემიური მობილობით;
- ნ) მოქმედი კანონმდებლობით და/ან უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება ან სხვა სახის შეღავათი;

მუხლი 31. სტუდენტის ვალდებულებები

1. სტუდენტი ვალდებულია:
 - ა) განუხრელად იცავდეს ეთიკის კოდექსს და უნივერსიტეტში მოქმედ სხვა წესებს;
 - ბ) მითითებულ ვადებში გაიაროს და აკადემიური რეგისტრაცია;
 - გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაფაროს სწავლის ღირებულება.

მუხლი 32. დამატებითი სემესტრი და სასწავლო კურსის განმეორებით შეწავლა

1. სტუდენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვებს შესაბამის აკადემიურს ხარისხს, უფლება ეძლევა დამატებითი სემესტრის დაფინანსების გზით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში.

2. დამატებით სემესტრში სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე შესასწავლი სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების ღირებულების შესაბამისად.

3. სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლა სტუდენტს აკისრებს ფინანსურ ვალდებულებას.

მუხლი 33. სწავლის საფასური

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური განისაზღვრება რექტორის

ბრძანებით, რომელიც აისახება სტუდენტთან დადებულ ხელშეკრულებაში.

2. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელის სწავლის გადასახადის ოდენობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასწავლო გრანტის ოდენობასა და სწავლების გადასახადს შორის სხვაობის გათვალისწინებით.

3. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის საფასური.

მუხლი 34 . საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება

საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება კანონმდებლობით და უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.

მუხლი 35. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომი/მოწმობა

1. საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ, კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას დადგენილი წესის თანახმად ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტი. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

2. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი.

3. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES - ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

4. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

თავი VIII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 36. მარეგულირებელი წესის ძალში შესვლა და ცვლილებების განხორციელება

1. აღნიშნული წესი ამოქმედდეს რექტორის მიერ ხელმოწერისთანავე.
2. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიმართოს რექტორს აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)